სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

17 / მაისი / 2024 წ.

KA080169069118524

№ **1429**

განკარგულება

შპს „აგრომშენსერვისის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“;

ტენდერის ნომერი: NAT220012632;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „აგრომშენსერვისი“ (ს/ნ: 204887961);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 29 მარტს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ 2024 წლის 28 მარტის №MES0240000367715 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №2985), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „აგრომშენსერვისის“ (ს/ნ: 204887961) მიერ NAT220012632 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 10 აგვისტოს № 320701/03/169 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს, სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის agromshenservisi@yahoo.com მეშვეობით, 2024 წლის 10 აპრილის №1127 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 12 აპრილს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 12 აპრილის № 07 განმარტება (რეგისტრაციის №3386) 2022 წლის 10 აგვისტოს №320701/03/169 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2022 წლის 10 აგვისტოს № 320701/03/169 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, მან 2023 წლის 27 ნოემბრისა და 27 დეკემბრის წერილებით, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და კლებაა-მატების უწყისი, რომელიც შეთანხმებული იყო შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლებთან. აღნიშნულ დოკუმენტაციაში ასევე მითითებული იყო ქ. ფოთის №6-ში და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუხუთში მდებარე საჯარო სკოლების დაზიანებული სახურავების აღდგენის სამუშაოების დამატებითი მოცულობები, რომლებიც არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული. მიმწოდებელი განმარტავს, რომ იგი ელოდებოდა ზემოხსენებული დოკუმენტაციის საფუძველზე მხარეთა შორის შეთანხმების აქტის გაფორმებას, თუმცა აღნიშნული არ გაფორმებულა. ამასთან, მიმწოდებელს ქ. ფოთის №6-ში არ დაუწყია სამუშაოების შესრულება, ხოლო სოფ. შუხუთის სკოლის სახურავის დემონტაჟის შემდეგ ვერ გაგრძელდა სამუშაოს შესრულება, რამდენადაც ხარჯთაღრიცხვით ამოწურული იყო სამუშაოების მოცულობა და შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელმა დროულად ვერ დაადგინა სახურავის კონფიგურაცია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 10 აგვისტოს, NAT220012632 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“ და შპს „აგრომშენსერვისმა“ (ს/ნ: 204887961) გააფორმეს № 320701/03/169 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები გეგმა-გრაფიკის მიხედვით, 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 2 787 815,97 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 31 დეკემბერი.

4.2. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 12 აპრილის №MES6230000415592 წერილით მიმწოდებელს დაევალა ქ. თბილისის № 156-ე საჯარო სკოლის თუნუქის სახურავის რეაბილიტაცია. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიეწოდებინა აღნიშნულ სკოლაში შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტები/ხარჯთაღრიცხვები და ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 11 სექტემბრის № MES3230001117995 წერილით, მიმწოდებელს დაევალა ერთ-ერთი სკოლის სახურავის (ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლა) რეაბილიტაცია. მას ასევე მოეთხოვა სკოლაში შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტის/ხარჯთაღრიცხვის და სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარდგენა.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 12 ოქტომბრის № MES6230001360123 წერილით, მიმწოდებელს დაევალა ერთ-ერთი სკოლის (სოფ. შუხუთის საჯარო სკოლა) სახურავის რეაბილიტაცია. ასევე მოეთხოვა სკოლაში შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტის/ხარჯთაღრიცხვის და სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარდგენა. ამავე წერილით, სამუშაოების შესრულების სავარაუდო ვადად განისაზღვრა 45 დღე.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 12 ოქტომბრის № MES8230001361601 წერილით, მიმწოდებელს დაევალა ერთ-ერთი სკოლის (ქ. ფოთის № 6 საჯარო სკოლა) სახურავის რეაბილიტაცია. ასევე მოეთხოვა სკოლაში შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტის/ხარჯთაღრიცხვის და სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარდგენა 5 დღის ვადაში.

4.6. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 26 ოქტომბრის №MES0230001444241 წერილის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა ხარჯთაღრიცხვები და სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკები სკოლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების შესრულება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

4.7. მიმწოდებელმა 2023 წლის 27 ნოემბრის № 143 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სახურავების საერთო ხარჯთაღრიცხვების მოცულობებმა განიცადა ცვლილება. ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმწოდებელმა მოითხოვა შეთანხმების გაფორმება.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 11 დეკემბრის № MES9230001685315 წერილის თანახმად, ქ. ფოთის №6 საჯარო სკოლაში სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2023 წლის 11 ნოემბერს, თუმცა სამუშაოები არ იყო დაწყებული. ამავე წერილით მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების უახლოეს ვადაში დაწყება და შესრულება.

4.9. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 27 დეკემბრის №MES5230001770082 წერილით დგინდება, რომ ქ. ფოთის № 6 საჯარო სკოლაში სამუშაოები კვლავ არ იყო დაწყებული. ამავე წერილით მიმწოდებელს მოეთხოვა სამუშაოების უახლოეს ვადაში დაწყება და შესრულება.

4.10. მიმწოდებელმა 2023 წლის 27 დეკემბრის № 155 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სოფელ შუხუთის საჯარო სკოლაში სამუშაოების განხორციელებისას საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების შესრულება. ამდენად, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა მხარეთა შორის შეთანხმების გაფორმება.

4.11. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 29 დეკემბრის № MES8230001781759 წერილით, მიმწოდებელს დაევალა ერთ-ერთი სკოლის სახურავის (ქ. თბილისის № 128 საჯარო სკოლა) რეაბილიტაცია, ასევე მოეთხოვა სკოლაში შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტის/ხარჯთაღრიცხვის და სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარდგენა.

4.12. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 29 იანვრის № MES2240000083163 წერილის თანახმად, ქ. ფოთის № 6 საჯარო სკოლაში სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2023 წლის 11 ნოემბერს, თუმცა სამუშაოები არ იყო დაწყებული. ამასთან, ატმოსფერული ნალექის ჩასვლის შედეგად ზიანდებოდა სკოლის ინფრასტრუქტურა. ამავე წერილით მიმწოდებელს მოეთხოვა სამუშაოების დაუყოვნებლივ განხორციელება და მიეცა გაფრთხილება.

4.13. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ პროექტების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის მენეჯერის 2024 წლის 5 თებერვლის № MES7240000113542 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, ქ. თბილისის N213 საჯარო სკოლაში სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2023 წლის 1 ოქტომბერს, თუმცა სამუშაოები არ იყო დაწყებული. ამასთან, ქ. თბილისის N156 და N128 საჯარო სკოლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (გეგმა-გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა) მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას არ წარუდგინა.

4.14. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ პროექტების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის მენეჯერის 2024 წლის 5 თებერვლის № MES1240000113285 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სოფელ შუხუთის და ქალაქ ფოთის N6 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება შეთანხმებული კალენდარული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

4.15. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებებით, დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 31 მარტი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2024 წლის 31 მაისი.

4.16. საქმეში არსებული სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ პროექტების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის რეგიონალური მენეჯერის 2024 წლის 12 თებერვლის № MES3240000144427 სამსახურეობრივი ბარათის თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა ვალდებულებებს.

4.17. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 12 თებერვლის № MES6240000146266 წერილის მიხედვით, მიმწოდებელი კვლავ არაჯეროვნად ასრულებდა ვალდებულებებს, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

4.18. მიმწოდებელმა 2024 წლის 5 მარტის № 06 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი არ ეთანხმებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებელი ელოდებოდა მხარეთა შორის შეთანხმების გაფორმებას, რის შემდეგაც იგი დროულად დაიწყებდა სამუშაოებს. ამასთან, ქ. ფოთის № 6 საჯარო სკოლაში საერთოდ არ დაწყებულა სამუშაოები, ხოლო სოფელ შუხუთის საჯარო სკოლაში მიმწოდებელმა ვერ მოაწყო სარტყელი, რადგან ხარჯთაღრიცხვით ამოწურული იყო სამუშაოების მოცულობა, ხოლო მისი კონფიგურაციის დროულად დადგენა ვერ მოხდა შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების ორმხრივი შეთანხმებით შეწყვეტა.

4.19. საქმეში არსებული სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ პროექტების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის რეგიონალური მენეჯერის 2024 წლის 12 მარტის № MES7240000292418 მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთან, ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება უკავშირდებოდა, როგორც მიმწოდებლის 2024 წლის 5 მარტის № 06 წერილში დასახელებულ, ასევე სხვა სკოლებსაც.

4.20. საქმეში არსებული სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ პროექტების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის რეგიონალური მენეჯერის 2024 წლის 12 მარტის № MES8240000297432 მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმოდებელმა შეასრულა 2 069 391,77 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 74%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „აგრომშენსერვისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებასა და მის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით წარდგენილ წერილებზე და მიუთითებს, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სარწმუნოდ იქნება მიჩნეული მიმწოდებლის პოზიცია ცვლილებების აუცილებლობასთან დაკავშირებით (თუკი გაზიარებული იქნება მიმწოდებლის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მას მართლაც ევალება მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმებული მოცულობით სამუშაოების შესრულება), სახეზე მაინც არის მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, რამდენადაც მან სამუშაოები არ შეასრულა არა მხოლოდ მის მიერ მითითებულ სკოლებში, არამედ ვალდებულებები დაარღვია ასევე სხვა ობიექტებზეც, მაგალითად, როგორც საქმეში არსებული სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ პროექტების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის მენეჯერის 2024 წლის 5 თებერვლის №MES7240000113542 სამსახურებრივი ბარათით დგინდება, მიმწოდებელს არ წარუდგენია არც ქ. თბილისის N156 და N128 საჯარო სკოლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (გეგმა-გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა). ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „აგრომშენსერვისი“ (ს/ნ:204887961) 2023 წლის 21 ნოემბერსა და 5 დეკემბერს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT220006348 და NAT210025634 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2022 წლის 19 მაისის № 320701/03/115 და 2022 წლის 11 თებერვლის №2022/19 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „აგრომშენსერვისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „აგრომშენსერვისი“ (ს/ნ:204887961) 2024 წლის 20 მაისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი